



შრომითი ინტეგრაციის სოციალური მეწარმეობის (WISE) ღია საგრანტო კონკურსი

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. მისი მისია საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობაა.

ორგანიზაცია ხელს უწყობს, ქვეყნის მდგრად განვითარებას, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის გზით.

ჩვენ პატივს ვცემთ თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSR DG) პროგრამული პრიორიტეტია 2009 წლიდან. პროგრამის მიზანია სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცენტრი დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისთვის მართავს ტრენინგებსა და კონსულტაციებს. დამწყები და მოქმედი სოციალური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით აცხადებს საგრანტო კონკურსებს, ხოლო გამარჯვებულ ორგანიზაციებს საქმიანობის პროცესში ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საკანონმდებლო საკითხებზე უწევს ინტენსიურ კონსულტაციებს.

ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისთვის მიყევით ბმულს: [CSR DG](http://www.csr-dg.org)



ინფორმაცია პროექტის შესახებ

2020 წლის ოქტომბერში, ევროკავშირის (EU) და „პური მსოფლიოსთვის“ (Brot) მხარდაჭერით დაიწყო 36-თვიანი პროექტი სახელწოდებით “უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის”, („ Skill Building and Innovative Job Opportunities for Regional Development of Georgia“), რომელსაც ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (CSR DG), ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირსა (YPU) და საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციასთან (GCDA) ერთად.

პროექტის მიზნებია:

1. შექმნას დასაქმების ახალი შესაძლებლობები სამუშაოს მაძიებლებისთვის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი უნარების განვითარებისა და დამსაქმებელსა და პოტენციური დასაქმებულის ერთმანეთთან დაკავშირების მექანიზმებით;
2. ხელი შეუწყოს სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდებს, შეიძინონ სათანადო ცოდნა და უნარები, რათა ეფექტურად გამოიყენონ დასაქმების არსებული შესაძლებლობები.

სოციალური მეწარმეობა:

ბოლო წლებში, არამარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც სოციალური მეწარმეობა ასოცირდება ახალ ფენომენტთან, რომელიც ბიზნესის „ახლებური გზით“ კეთებას გულისხმობს, თუმცა, ეს „ბიზნესები“ იქმნება კონკრეტული სოციალური მიზნების მისაღწევად. დღეისათვის სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური მეწარმეობა განსხვავებული პრაქტიკით ხორციელდება და შესაბამისად, სხვადასხვაგვარად განიმარტება. მიუხედავად განსხვავებული განმარტებების არსებობისა, თითოეულ მათგანს ერთმანეთთან აკავშირებს კონცეფციის ძირითადი არსი და ღირებულება, რომელიც გულისხმობს ბიზნეს მიდგომას სოციალური მიზნებისთვის.

პროექტის სოციალური მეწარმეობის კომპონენტი მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას სამიზნე რეგიონებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების შრომის ბაზარზე ინტეგრაციას. ამ მიზნით დაგეგმილია 6 შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოების (WISE) ინიცირების მხარდაჭერა.

რისკების შემცირებისა და მიზნობრივი შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოების მდგრადობის გაზრდის მიზნით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი გააგრძელებს შერჩეულ სოციალური საწარმოების ტექნიკურ დახმარებას 2-3 წლის განმავლობაში, საჭირო კონსულტაციისა და სხვა სერვისების მიწოდების გზით.



2. საგრანტო კონკურსის ამოცანები და მონაწილეობის უფლება:

საგრანტო კონკურსის მიზანია, შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოების განვითარების მხარდაჭერა, შრომის ბაზარზე ნაკლებად კონკურენტული, მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლების ეფექტური დასაქმების და ინტეგრაციის მიზნით.

კონკურსის ამოცანები:

- პროექტის სამიზნე რეგიონებში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაცია;
- ინოვაციური და სოციალურად ინკლუზიური დასაქმების შესაძლებლობების განვითარება შერჩეულ რეგიონებში მულტისექტორული პარტნიორობის მეშვეობით;
- შრომის ბაზარზე ეფექტური დასაქმებისა და მოწყვლადი ჯგუფების (იძულებით გადაადგილებული პირი, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი, შშმ პირი, გრძელვადიანად დაუსაქმებელი პირი და ა.შ.) ინტეგრაციის ინოვაციური გზების დემონსტრირება;
- დასაქმების მიზნის მქონე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერითა და საკონსულტაციო მომსახურებით;

საგრანტო კონკურსის სამიზნე რეგიონები: გურია, კახეთი, ქვემო ქართლი.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:

- პროექტის სამიზნე რეგიონებში მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;
- პროექტის სამიზნე რეგიონებში არსებულ შრომითი ინტეგრაციის სოციალური მისიის მქონე არსებულ სოციალურ საწარმოებს;

3. საგრანტო კონკურსის ეტაპები და პირობები:

შრომითი ინტეგრაციის სოციალური მეწარმეობის (WISE) საგრანტო კონკურსი ტარდება ღია კარის პრინციპით, რაც გულისხმობს იმას, რომ კონკურსი ღია იქნება დაინტერესებული ორგანიზაციებისა და სოციალური საწარმოებისთვის 30 სექტემბრამდე.

განაცხადის მიღების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

- **საპროექტო განაცხადის წარდგენა** - აპლიკანტმა უნდა შეავსოს სრული საპროექტო განაცხადის ფორმა დეტალურად და გააგზავნოს სახელმძღვანელო წესებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე;



- **საპროექტო განაცხადის შეფასება კონკურსის კომისიის მიერ** - გამოგზავნილი საპროექტო განაცხადების განხილვა ხდება მაქსიმუმ 1 თვის ვადაში კონკურსის კომისიის მიერ. საჭიროების შემთხვევაში, კომისიას უფლება აქვს მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაციის დაზუსტება ან დამატებითი ინფორმაცია განაცხადთან დაკავშირებით;
- **საბოლოო გადაწყვეტილება** - საპროექტო განაცხადთან დაკავშირებით დაზუსტებული ან დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის შემდეგ, კონკურსის კომისიის მიერ ხდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;

ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები კონკურსის ორგანიზატორებთან - კონკურსის პირობების, განაცხადის შევსებისა და შეფასების პროცესებზე დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით დაინტერესებულ აპლიკანტებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრაზე შემდეგ მისამართზე: <https://www.segeorgia.org/ge/consultants/7>

განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე. განაცხადზე თანდართულ უცხოენოვან დოკუმენტაციას უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

კონკურსის ფარგლებში ყველა ეტაპისათვის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება 1 თვით. კონკურსის პროცესიდან გამომდინარე შესაძლებელია კომისიის გადაწყვეტილებით ეს ვადა გაგრძელდეს.

საპროექტო განაცხადების შეფასება მოხდება კონკურსის ფარგლებში შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის მიერ, რომელიც დაკომპლექტებული იქნება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის და პროექტის სხვა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, ასევე სფეროს დამოუკიდებელი ექსპერტებისგან.

კონკურსის კომისიის მიერ საპროექტო განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

	ბიზნეს განაცხადის შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
1	პროექტის სოციალური შედეგები, ინვესტირებული სახსრების (გრანტების) სოციალური მოგება;	30
2	შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოს მოდელის სიცხადე;	20
3	სრული ბიზნეს გეგმების განხორციელებადობა;	20
4	შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოს მდგრადობის პოტენციალი;	20
5	განმცხადებლის ფინანსური და სხვა სახის თანამონაწილეობა;	10
ჯამი:		100

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ, დაფინანსებული სოციალური საწარმოების მონიტორინგი განხორციელდება მინიმუმ 24 თვის განმავლობაში.



4. კონკურსის ფინანსური საკითხები და დასაშვები ხარჯები.

შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოს განსავითარებლად მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 14 000 ევროს.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის სავალდებულოა მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების მინიმუმ 5%-იანი ფინანსური თანამონაწილეობა.

საგრანტო თანხის ხარჯვა ნებადართულია შემდეგი მიზნებისთვის და საქმიანობებისთვის:

- კაპიტალური აქტივების შეძენა (საწარმოო დანადგარები, საოფისე მოწყობილობები, ტექნიკა და ა.შ.);
- მასალა/ნედლეულის შეძენა;
- მარკეტინგული ღონისძიებები და საპოპულარიზაციო მასალების დამზადება;
- ჰონორარის გაცემა იმ მოწვეულ სპეციალისტებზე (ბუღალტრის მომსახურება, ტრენინგები და ა.შ.), რომელთა ექსპერტული მხარდაჭერაც აუცილებელია საწარმოს გამართული ფუნქციონირებისათვის, საგრანტო თანხის არაუმეტეს 15%-სა.
- სოციალური საწარმოს ონლაინ რესურსებისა და ქსელების მხარდაჭერა;

გამონაკლის შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებისას შესაძლებელია დაფინანსდეს:

- სარემონტო სამუშაოები, საგრანტო თანხის არაუმეტეს 15%-სა;
- ფართის იჯარა, საგრანტო თანხის არაუმეტეს 15%-სა;

საგრანტო თანხის ხარჯვა ნებადართული არ არის შემდეგი მიზნებისთვის;

- უძრავი ქონების შესყიდვა/აშენება;
- საწარმოს მენეჯმენტის ხელფასის გაცემა;
- პოლიტიკური კამპანიების და საქმიანობების განხორციელება;

5. შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოს (WISE) განაცხადის წარდგენა

შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოს (WISE) განაცხადის ფორმის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულად, ელ. ფოსტის საშუალებით, მისამართზე:

social.enterprise.ge@gmail.com

გთხოვთ განაცხადის გამოგზავნისას სათაურში მიუთითეთ: **სოციალური საწარმოს განაცხადი**



განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა: **2022 წლის 30 სექტემბერი, 18:00 სთ.**

განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს თანდართული სააპლიკაციო ფორმის შესაბამისად. არასრულად, ან განსხვავებული ფორმით შევსებული და დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება.

დამატებითი ინფორმაცია:

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, იოველ ჯებაშვილის 5, თბილისი.

სატელეფონო კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ორშაბათს და სამშაბათს, დილის 11:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე.

ანა ეკატერინე ილურიძე

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 39 90 19

ელ-ფოსტა: social.enterprise.ge@gmail.com; ekaterine.iluridze@csrdg.ge;